**დადგენილება №11/2020 ახალი კორონავირუსის ინფექციის (COVID-19) საქართველოში გავრცელებასთან დაკავშირებით სსიპ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში სასწავლო პროცესის შეწყვეტის შესახებ**

დადგენილება № 11/2020

06 მარტი, 2020

დადგენილება №11/2020 ახალი კორონავირუსის ინფექციის (COVID-19) საქართველოში გავრცელებასთან დაკავშირებით სსიპ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში სასწავლო პროცესის შეწყვეტის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე მუხლის პირველი ნაწილის, 52-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 53-ე მუხლის პირველი და მესამე ნაწილების, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის, 55-ე მუხლის, 56-ე მუხლის მე-3 ნაწილის, 57-ე მუხლის, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2014 წლის 07 ივლისის N05/90 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის წესდების“ მე-8 მუხლის პირველი ნაწილის „წ“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს, სსიპ ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრისა და კორონავირუსთან დაკავშირებით მოქმედი საკოორდინაციო საბჭოს რეკომენდაციების, საქართველოს მთავრობის 2020 წლის 2 მარტის N434 განკარგულების, კონსერვატორიის აკადემიური საბჭოს 2020 წლის 06 მარტის N06 სხდომის ოქმის საფუძველზე,

**აკადემიური საბჭო ადგენს:**

1. ახალი კორონავირუსის ინფექციის (COVID-19) საქართველოში გავრცელებასთან დაკავშირებით სსიპ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში სასწავლო-შემოქმედებითი პროცესი შეწყდეს 16 მარტამდე.

2. სასწავლო პროცესი შეწყდეს სსიპ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის სამუსიკო სემინარია-თერთმეტწლედში.

3. დაევალოს მუსიკის თეორიის, ისტორიისა და კომპოზიციის მიმართულების კადემიურ პერსონალს, მასწავლებლებს ელექტრონული მართვის სისტემის მეშვეობით სასწავლო მასალის და დავალებების დაგზავნა შესაბამის დისციპლინებში სტუდენტებისათვის.

4. დაევალოს სტუდენტებს შესაბამის დისციპლინებში შესრულებული სამუშაოს ელექტრონული მართვის სისტემის მეშვეობით მუსიკის თეორიის, ისტორიისა და კომპოზიციის მიმართულების მასწავლებლებთან და აკადემიურ პერსონალთან დაგზავნა.

5. კონსერვატორიაში სასწავლო პროცესის შეჩერება არ იწვევს ადმინისტრაციის მუშაობის შეჩერებას.

6. დადგენილება განთავსდეს კონსერვატორიის ვებგვერდზე **www.tsc.edu.ge**

7. წინამდებარე დადგენილება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლის დღიდან 1 თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე–12 კილომეტრი, №6).

8. დადგენილება ძალაში შედის მიღებისთანავე.

ნანა შარიქაძე

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე